

ანანურის არქიტექტურული კომპლექსის ცადკეური არეადები ტურისტული ჯგუფებისთვის დაიკვეთება



„საყდრისის დაცვის კომიტეტმა“ გუშინ ანანურის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ტურისტებისთვის რეგულაციების ამოქმედება მოითხოვა. ორგანიზაციის წევრების თქმით, ანანურის სამონასტრო კომპლექსის გარავანი დაზიანებულია და იწმდება.

ანანურის სამონასტრო კომპლექსი „საყდრისის დაცვის კომიტეტის“ წევრებმა კურტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გენერალურ ინსპექციასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად 29 ივლისს დაათვალიერეს.

როგორც კომიტეტში აცხადებენ, თუ მიმდებარე ტერიტორიაზე მონიტორინგი არ გამკაცრდა, ტურისტების და ადგილობრივი დამთვალიერებლის ნაკადი, რომელიც გარავანზე უმისამართოდ დადის, კედლებს მტრიანად ჩამოშრის. მათივე თქმით, ტერიტორიაზე არ არის მინიშნებები, გიდეები ტურისტებს არ უკრძაღავენ გარავანზე ფოტოების გადაღებას და ასვლას, რაც კედელს აზიანებს, არ არის ჯებირები, რაც საფრთხეს წარმოადგენს დამთვალიერებლისთვის.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელიც კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებს

აერთიანებს, ანანურის არქიტექტურული კომპლექსის ცარკვეური არეადები ტურისტული ჯგუფებისთვის დაიკვებება.



კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ მხარეთა საერთო შეთანხმებით, ვიზიტორებისთვის შეიზღუდება გვიანი შუასაუკუნეებისდროინდელი ეროვნული კატეგორიის ძეგლის ის სივრცეები, რომლებზეც ქალტური და უკონტროლო გადაადგილების შედეგად არქიტექტურული სტრუქტურის მექანიკურმა დაზიანებებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო.

„კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ძეგრზე წინასარეაბიტიტაციომოსამზადებელი პროცესის ფარგლებში კრიტიკულ უბნებზე დამცავ ბრუდეებსა და საინფორმაციო მანიშნებს მოაწყოებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საინფორმაციო მხარდაჭერის საფუძველზე, ტურისტული კომპანიები და გიდები დაგეგმირი შეზღუდვის შესახებ სათანადო ცნობებს მიიღებენ. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაცია კი კომპლექსზე მუდმივ ბედამხედველობას განახორციელებს. დროებითი ღონისძიებებით ანანურის არქიტექტურულ კომპლექსზე ვიზიტორთა ჯგუფების უკონტროლო ქმედებები აღიკვეთება.

მომდევნო წრიდან კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით ანანურის კომპლექსზე ფართომასშტაბიანი სარეაბიტიტაციო პროექტი დაიწყება და ძეგლის კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ყველა უბანსა და არქიტექტურულ

ნაგებობას მოიცავს. სარეაბილიტაციო პროექტი ძველზე ტურისტული ნაკადების გადაადგილების მარშრუტებსაც გაითვალისწინებს, რაც სამომავლოდ ქალტური ვითარების შექმნის აღბათობას გამორიცხავს.

ანანურის კომპლექსის ტერიტორიაზე ჭარბი ტურისტული ნაკადების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებით მიმდებარე ტერიტორიაზე დაწყებული ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის პროექტი, რომელიც ავტოსაპარკინგე მეურნეობის, სავაჭრო პავილიონებისა და გამწვანებული სივრცეების მოწყობას ითვალისწინებს. ახალი ინფრასტრუქტურული სივრცის მშენებლობა წლის ბოლომდე დასრულდება და ის ხარისხობრივად გაამართივებს სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას და სავაჭრო პროცესებს“, – აცხადებენ კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.